სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1046

დამატების № 184

კვირა, 17 ნოემბერი 1913 წ.

რომანტიული თავგადასავალი ვახტანგ დევრიანისა

(შემდეგი *)

რადგან ვახტანგ დევრიანი პროფესიით ჟურნალისტი იყო და არა ექიმი, ის თავის თავს უძლურად სთვლიდა დედაკაცის ჰისტერიის წინააღმდეგ და ამიტომ არჩია იმ დღიდან სრულიად შეეწყვიტა ელენესთან სიარული. ამასგარდა ამ ბოლო დროს დიდად დაინტერესებული იყო მუნიციპალიტეტში აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედებებით და აღარ სცალოდა სადარბაზოდ.

ერთი კვირის შემდეგ, როცა მარიამობისთვის ერთს სიცხიანს დილას რედაქციაში იჯდა და ქალაქის სასალახოს შესახებ შენიშნავს სწერდა, პატარა, ნაცრისფერ კონვერტით წერილი გადასცეს. მისამართს დახედა და გული შეუტოკდა: ეჭვი არ იყო წერილი ელენეს გამოგზავნილი იყო. დაწყებული საგაზეთო სტატია გვერდით გადასდო, ქუდი დაიხურა გარეთ გამოვიდა. ალექსანდრეს ბაღში განმარტოებულს სკამზე ჩამოჯდა და კონვერტი გახსნა.



ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დურნოვო.

წერილის წაკითხვამ კმაყოფილების ღიმილი მოჰგვარა. ამ მსხვილი, უსწორ-მასწორო ანბნების იქით დაინახა ელენეს სული, როგორც იყო სინამდვილეში, რწმენის და ილუზიის მოწყურებული.

ქალი სწერდა, რომ მის საძებნად უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან თავს სუსტად გრძნობს და გარეთ ვერ გამოდის. ავად არის, მაგრამ ფიზიკურს ავადმყოფობას როგორც იქმნება გაუმკლავდება. აუტანელია მხოლოდ საშინელი ეჭვები, საშინელი ბნელეთი ურწმუნოებისა, მისი სული რომ მოიცო. ის მას არ სთხოვს არც გმირობას, არც თავგანწირულებას: ელის მხოლოდ რომ ის მას მოევლინება წინანდელი სახით, რომელიც ასე ძვირფასი იყო მისთვის, დაანახვებს, რომ ის არა სცდებოდა, რომ რაც იყო, იყო არა სიყალბე, არამედ ჭეშმარიტება. ახსენებდა აგრეთვე მის ოქროსფერ ოცნებებს საერთო ბედნიერების შესახებ და ბოლოს თავისი დიდი სიყვარულის სახელით აფიცებდა მას ნუღარ დასტანჯავს მეტი ლოდინით, მივიდეს მასთან და ძლიერი ხელი გაუწოდოს სუსტს ქალს, უფსკრულის კიდეზე რომ სდგას უმწეოდ, უმეგობროდ.

ვახტანგმა ბარათი ხელმეორედ გადაიკითხა. შემდეგ ჩაფიქრდა. ხუთიოდე წუთის განმავლობაში, ბევრად უფრო ადრე ვიდრე თვით მოელოდა, პასუხი უკვე მზად იყო. რედაქციაში შევიდა და დიდი ფორმატის ქაღალდი გადმოიღო. შემდეგ დასწერა წერილი, რომელსაც თავის ლიტერატურულ შედეგრად სთვლიდა.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 183.

უწინარეს ყოვლისა გამოსთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ ელენეს ეჭვი შეაქვს მის სულიერ განცდათა ჭეშმარიტებაში. ოჰ, მისი ზრახვანი ყოველთვის წრფელნი იყვნენ, ეს მას შეუძლიან სთქვას თავისი ღმერთის წინაშე. მაგრამ სწორედ მიტომ, რომ ყველაზე მაღლა ამ ქვეყანაზე გულწრფელობას აფასებს, ეხლა თამამად აღიარებს, რომ მწარედ მოსტყუვდა თავის საუკეთესო გრძნობებში. ის მიილტვოდა სიყვარულისკენ როგორც ბავშვი პეპელასაკენ, როგორც ფარვანა სინათლისაკენ. და თავის ბრმა, უკანდაუხედავ ლტოლვაში ფრთები დაიწვა იმ ხელოვნურს ჭრაქზე, ადამიანები რომ სიყვარულს უწოდებენ. მას ეს ღვთაებრივი გრძნობა წარმოდგენილი ჰქონდა როგორც შეუღლება ორის სულისა, რომელნიც დასაბამიდან ერთიმეორესკენ მიილტვიან. დაახლოვებით ისე როგორც ეს განმარტა ბრძენმა პლატონმა. მაგრამ რა? ტლანქმა სინამდვილემ შეუბრალებლად გაჰფანტა მისი ფერადი ოცნებები, შეჰბოჭა მისი ყმაწვილური აღმაფრენა და წინ დაუყენა ფილისტერული პრობლემა დაქორწინებისა. რა საშინელი დაცინვა, რა საშინელი ირონია! მაგრამ არა: ვახტანგ დევრიანი, როგორც ოცნების ადამიანი ქედს ვერ მოიხრის ყოველ-დღიური, უფერულ სინამდვილის წინაშე. ელენე უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ მას არ შეუძლიან ჯვარის დაწერა, ჯერჯერობით მაინც. ბურჟუაზიული ოჯახი და კეთილდღეობა, რომელსაც ასე შეჰნატრის ყოველი გასათხოვარი ქალი, მძიმე ბორკილებს დაადებს მის ნორჩს ნიჭს, სწორედ ეხლა რომ იშლება და იფურჩქნება. მართალია ის ოცნებობდა, ოცნებობდა გულუბრყვილოდ, მაგრამ ალბად თვითონ ელენეც კარგად გაიხსენებს, რომ იმ ოცნებაში არაფერი თქმულა დაქორწინების შესახებ. ის უფრო იდეურ ნათესაობას გულისხმობდა. მიუხედავად ყოველი ზეკოთქმულისა, ის მზად არის დაბრუნდეს ელენესთან და ხელ-ახლა მიანიჭოს სიყვარულის ბედნიერება, მაგრამ არა ეხლავე, არამედ ორიოდე თვის შემდეგ, როცა ის სისრულეში მოიყვანს მის რჩევას, რომელმაც პირველად ასე უსაფუძვლოდ ააშფოთა. პირადათ მას კარგად ესმის ასეთი აღელვება: ის, როგორც ქართველი, ჩაფლულია ტრადიციულს მსოფლიო მხედველობაში და ვერ განთავისუფლებულა ეროვნული ცრუმორწმუნოებებისაგან; სიყვარული მისთვის საშუალებაა და არა თვით მიზანი. შეიძლება ასეთი შეხედულება მართლაც და საკეთილდღეო იყოს ბრბოსათვის, რომელიც მოდგმის შესანახავად არის გაჩენილი, მაგრამ ელენემ არ უნდა დაივიწყოს, რომ შემომქმედი პიროვნება ვერ დაექვემდებარება უსახელო მასის კანონს. მგოსანი ბედნიერს გამონაკლისს შეადგენს და მისთვის არ არსებობს სხვა საზომი, გარდა მისი ნიჭისა და სურვილისა. სხვათა შორის, ამიტომ არის, რომ პირადად ის ასეთს მარტოობას განიც-



ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ პრინც ვილჰელმ ვიდი, მისი მეუღლე პრინცესა სოფია შენბურგ-ვალდენბურგის ასული და **ᲛᲐᲗᲘ** ქალი პრინცესა მარიამ—ელეონორა.

დიდა ყოველთვის და ეხლაც სულიერს ობლობას უფრო მწვავედ გრძნობს, ვიდრე ოდესმე...

წერა გაათავა და შეჩერდა: არ იცოდა როგორ მოეწერა ქვეშ. თავისი სახელი, პროზაულად მიაჩნდა ასეთი დამთავრებულ ნაწარმოებისათვის, ბოლოს აირჩია ისტორიული გმირის სახელი, რომელიც ყოველთვის იზიდავდა, თუმცა თითქმის სრულიად უცნობი იყო მისთვის: ივლიანე განდგომილი.

***

ელენემ წერილი მხოლოდ მეორე დღეს მიიღო დაღამებისას. დილით, როცა ფოსტალიონს მოეტანა, სძინებოდა. შემდეგ კი დიასახლისს დავიწყებოდა გადაცემა.

ხელები და ფეხები თითქო მოწყვეტილი ჰქონდა, თავი უმძიმდა ტყვიასავით, მაგრამ მაინც ზეზე წამოდგა, ფანჯარასთან დაჯდა და წერილი გადაიკითხა. დიდხანს ვერაფერი გაიგო ზიზმეტი მღელვარების გამო. შემდეგ როგორც იყო დაწერილის შინაარსს ჩასწვდა და გაოცებისაგან სახტად დარჩა. სინამდვილემ გადააჭარბა ყველა მის ეჭვს და შიშს, მან პირველად თვალის თვალ დაინახა ადამიანური სიმდაბლე ურცხვად გატიტვლებული. აუტანელი სიმწარისაგან ხელების მტვრევა დაიწყო, დამაამებელი კრემლები აღარ ასვენებდნენ მის თვალებს. მან გამოიტირა არა მარტო თავისი დაღუპული ყმაწვილქალობა, არამედ უდიდესი რწმენაც, ურომლისოდ ცხოვრება შეუძლებელია,—რწმენა ადამიანისადმი.

შემდეგ მთელი მისი არსება ზიზღმა მოიცა: შეეზიზღა თავისი თავი უფრო ვიდრე სხვა.

— ღმერთო ჩემო რა დამცირებაა, რა საშინელი დამცირება!—ჰფიქრობდა ის.

ბოლოს გადაწყვიტა რაიმე პასუხი მაინც გაეცა თავის შეურაცყოფილისათვის, წასულიყო და სახეში მიეხალა მისი წერილი. საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, წერილი მუჭაში მოკუმშა და გარეთ გავიდა. დევრიანის ბინის მისამართი იცოდა და პირველად იქით გაემართა. როცა ტრამვაისთან მივიდა, შეამჩნია რომ ფულის ქისა დავიწყებოდა და კუკიამდე ფეხით მოუხდა სიარული. კიბეზე ძლივს-ძლივობით ავიდა. ტალანის კარებთან დიდხანს იდგა გაშეშებული. იმდენი ძალა აღარ შესწევდა, რომ ზარი დაერეკა. გული ბუდიდან გამოხტომას უპირებდა, ტუხლები ეკვეცებოდა, ეგონა რომ მოახლოვდა მისი აღსასრული. ბოლოს თეთრს ფოლაქს თითი მიაჭდო და სუნთქვა შეაჩერა. გაისმა ზარის ხანგრძლივი წკრიალი, რომელმაც მთელს სხეულში დაუარა... გავიდა ერთი წუთი, მეორე, მესამე... თავისუფლად ამოისუნთქა და მეორეჯერ დარეკა. სახლში სიჩუმე იდგა, სჩანდა შინ არავინ იყო.

ქვევით დაეშვა და ქუჩაში ცოტა ხნით შეჩერდა. შემდეგ პირი რედაქციისაკენ იბრუნა. კანტორის კარი ოდნავ ღია იყო. დაუფიქრებლად შეაღო და შევიდა. პირველ ოთახში მაგიდას თავმოპარსული, გრძელ წვერიანი და გრძელყურებიანი მამაკაცი უჯდა და ლამპის სინათლეზე რაღაცას ასწორებდა. ელენემ სალამი მისცა. უცნობმა რაღაც წაილუღლუღა თავაუღებლად. ქალი მიუახლოვდა და ვახტანგ დევრიანი იკითხა. ჟურნალისტმა თავი ასწია, პაწია თაგვისებური თვალებით ახლად მოსული თავიდან ფეხებამდე გაზომა და უპასუხა, რომ ხსენებული პირი დღეს დილით ბორჯომის ხეობისაკენ გაემგზავრა დასასვენებლად. სახელობ, სათაკენ მან არ იცოდა. შემდეგ თავისი ნიჩბის წვერიანი ნიკაპი მუშტზე დაყრდნო და ხელ-ახლა მაგიდას დააცქერდა.

ქალი გამობრუნდა გამოუმშვიდობებლად. უკვე სრულიად ბნელოდა. როცა თავის ეზოში შევიდა შეამჩნია, რომ იქ არავინ იყო. ღონე-მილეულმა ეკლის ხეს მიეყრდნო. მუხლები იმდენად დასუსტებული ჰქონდა, რომ ჯერ ძალაუნებურად ჩაჯდა, ბოლოს კი პირდაღმა მიწაზე გაიშხლართა. მას ეგონა, რომ დედამიწა მაინც შეიბრალებდა მის დაქანცულ ასოებს და მშვიდობას მიანიჭებდა მათ. მაგრამ ტფილისის მწირმა ნიადაგმა მას მკერდი არ გაუღო.

და აი ეხლა ამ დიდს და აუტანელს უბედურებაში უცებ გაახსენდა, რომ მას აქვს სამშობლო კუთხე, სადაც შეუძლიან თავი შეაფაროს და სხეული დაიამოს. ჰყავს დედა, ძმა და ნაიესაობა. გაახსენდა სოფელი, სადაც ბავშვობის უზრუნველი დღეები გაატარა, თავისი მყუდრო ოჯახი და გულმა ცოტა ოდენი შვება იგრძნო. ადგა და ოთახში შევიდა. იქ სიბნელე-მდუმარედ მიეცა წარსულ დროზე ოცნებობას...

...დაინახა თავისი უფროსი ძმა, რომელიც პაწია ელიკოსთან ერთად ჩიტებს დასდევს და ათასგვარ ხერხს იგონებს მათ დასაჭერად. ყოველ მის გამარჯვებას ელიკო აღტაცებული ტაშის კვრით აჯილდოებს; მაგრამ სჩანს ძმა ასეთ პლატონიურ თაყვანისცემას დიდათ არ აფასებს და მას მხოლოდ ერთს ჩიტს აძლევს, პაწია, გულყვითელა ბარტყს.

ელიკო უზომოდ ბედნიერია. აღარ იცის როგორ სცეს პატივი ამ ჩიტს. ლოგინზე აწვენს, სხვა და სხვა საჭმელს სთავაზობს, სულს უბერავს, ხელში იჭერს, გულზე მაგრად იხუტებს, რაც ძალი და ღონე შესწევს. ფრინველი კვდება. ელიკო უზომოდ უბედურია. ის მარხავს თავის პირველი სიყვარულის საგანს შესაფერი წესრიგით. ძმა აქნევს საცეცხლურივით და შესანდობელს ჰკითხულობს. შემდეგ მგლოვიარე დას ანუგეშებს, როგორც მიღებულია.

აი ჩქარა ქრისტეს შობის დღესასწაულიც მოდის. ელენეს ჩვეულებრივზე ადრე ეღვიძება და ფანჯარაში იცქირება. ოჰ, დედა ჩემო, რამოდენა თოვლი დაუყრია! მურია-ძაღლი დახტის და თეთრ სუდარა გადაფარებულს ჯირკს შორიდან უყეფს. ხეებს ტოტები დაუხრია, ეზო სრულიად გადათეთრებულია, მხოლოდ ცოტა მოშორებით, თეთრად შელესილი ღობების გასწრივ მოშავო ზოლი მისდევს: ეს პატარა მდინარეა. ოთახში კი ჯერ კიდევ ბნელა. კუთხეში მამა სდგას, ოდნავ თავდახრილი. ხელში დიდი, მუქი ტყავიანი წიგნი უჭირავს. კედელზე კი თაფლის სანთელია მიწებებული. ლოცულობს. ბუხართან დიდედა ზის და წინა დღით გამომცხვარ ხაჭაპურებს ათბობს.

შობას ჩქარა ახალი წელიწადი მოსდევს, ახალს წელს—აღდგომა. დიდედა ეუბნება, რომ ამ ბედნიერ დღეს მზეც კი დღესასწაულობს და დილას სიხარულის გამოსახატავად ცაზე ჰხტის. მას ღრმად სჯერა დიდედის სიტყვა. აკვირდება ამო-



ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲚᲝᲢᲑᲐᲠᲘ **ᲕᲘᲚᲚᲘ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ**, რომელმაც უკვე საქვეყნოდ გაითქვა სახელი თვისი სიმფონიური კონცერტებით.

ადმინისტრაციის მიერ დახურული ხარკოვის საექიმო საზოგადოების სახლი.

მავალს მზეს: ეჭვს გარეშეა, რომ ის მართლაც ჰხტის, ცეკვავს.

წირვის დროს ელიკო ეკლესიის გალავანში დარბის და წითელს კვერცხებს ერთი მეორეს უკაკუნებს. მას არ მოსწონს, რომ წირვის შემდეგ კოცნას უპირებენ და ამიტომ სწორედ ამ დროს გატეხილი კვერცხის ჭამას იწყებს. აბა, ეხლა კოცნა როგორღა შეუძლიან, როცა პირი გატენილი აქვს!

შინ კბილებ და ხელებ შეღებილი ბრუნდება. ახალი ტანისამოსიც გაუსვრია. დიდედა სამზარეულო სახლში ძალით მიათრევს და საპნით ჰბანს. მეტის მეტად მოსაწყენი ამბავია.

სადილის დროს გოჭის თავი შემოაქვთ. ელიკო ამ თავს აკვირდება და ამჩნევს, რომ შეწვის დროს ერთი თვალი დავსებია; მეორე თვალი კი გაშტერებით იცქირება სივრცეში. ღმერთო ჩემო, ეს სიკვდილია, ჰფიქრობს ის, საშინელი ცალთვალა სიკვდილი.

შენ?დეგ მამა მძიმედ ავად ჰხდება. ელიკოს იმ ქალაქიდან იწვევენ, სადაც გიმნაზიაში სწავლობს. შიშით და კრძალვით შედის მამის საწოლს ოთახში და ავადმყოფის სახეს აცქერდება. ეს სახე მას სუსტად ეღიმის. და ელიკო ამ უჩვეულს ღიმილში ჰხედავს სიკვდილს, ცალთვალა სიკვდილს. გულამოსკვნით სტირის. გარედ გაჰყავთ და ამშვიდებენ: არა უშავს რა, ჩქარა მორჩება!

ცოტა ხანში მამა კვდება...

ელენე ოკნებიდან გამოერკვია, ცრემლიანი თვალები მოიწმინდა და ტანთ გაიხადა. შემდეგ დაიძინა ღრმად, უსიზმროდ, როგორც მცენარეებს სძინავთ.

მეორე დღეს დილიდანვე შეუდგა სამზადისს სოფელში წასასვლელად.

*
* *

ზაფხული უკვე მიწურული იყო, როცა ელენე თავის ოჯახს ესტუმრა. მისი ასე გვიან მოსვლა არავის გაჰკვირვებია. მან აუხსნა თავისიანებს, რომ ზაფხულში კერძო გაკვეთილები ჰქონდა და უხერხულად მიაჩნდა მათი მიტოვება. ეხლა კი მეტის მეტად დაქანცულია და ამიტომ თავის სკოლაში მოადგილე დასტოვა, რათა ჩაზამთრებამდე სოფლად დარჩეს და დაისვენოს.

ელენეს დედა უბრალო სოფლის დედაკაცი იყო და სხვა სოფლის დედაკაცებისაგან მხოლოდ არაჩვეულებრივი სიდიდით განირჩეოდა. სწავლული ხალხის ავანჩავანი არ გაეგებოდა და ამიტომ გულუბრყვილოდ დაუჯერა თავის ქალს.

უფროსი ძმა, მეაფთიაქე სამსონ შევარდენიძე კი მარქსისტი იყო და, როგორც ნამდვილს ქართველს მარქსისტს შეეფერება, მოჩვენებათა სფეროში სცხოვრებდა. ის უზომოდ იტანჯებოდა სამრეწველო პროლეტარიატის ტანჯვით და თავის ფანტაზიაში მედგრად ებრძოდა მსხვილს ბურჟუაზიას, რომელიც სინამდვილეში არასოდეს არ ენახა, მიტომ რომ ბათომსა და ქუთაისს არ გასცილებოდა. თავის გარშემო არსებულ ტანჯვასა და ბრძოლას კი ვერ ამჩნევდა. მისი დის წასვლას-მისვლას ქართული კაპიტალიზმის განვითარებისთვის არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ დიდს ყურადღებას არ აქცევდა ამ მოვლენას.

თუმცა სამსონი იდეურად ზედმიწევნით თანამედროვე ადამიანი იყო, მაგრამ გარეგნობით რამოდენიმედ ჩამოჰგავდა თავის ბიბლიურს სეხნიას. მას ჰქონდა ფართე ბეჭები, მოკლე კისერი და გრძელი შავი ფაფარი, რომელიც უცნაურს დისჰარმონიაში იმყოფებოდა მის კეთილს, ცხვარისებურ თვალებთან. ეს თვალები სიძულვილის ნაპერწკალით მხოლოდ მაშინ ენთებოდნენ, როცა მეაფთიაქე ქართველი ნაციონალისტების შესახებ ჰფიქრობდა. თუმცა ქუთაისის ბაღში სეირნობის დროს მან შორიდან რამოდენიმეჯერ თვალი მოჰკრა ადამიანთა ამ მოდგმის ორიოდე წარმომადგენელს და კარგად იცოდა, რომ მათაც ჩვეულებრივი სახე, მიმოხვრა და ტანთსაცმელი ჰქონდათ, მაგრამ თავის ფანტაზიაში ქართველი ნაციონალისტები მას ყოველთვის იეზუიტურს ანაფორაში ჰყავდა წარმოდგენილი. ის ნათლად ჰხედავდა როგორ აპყრობენ ეს ფარისეველნი თვალებს ზეცისაკენ, როგორ იკრეფენ გულზე ხელებს, რა გაიძვერობასა და თვალმაქცობას ეწევიან საბრალო ხალხის მოსატყუებლად და გასაყვლეფად და აღფრთოვანების წუთებში მზად იყო ებრაელთ სამსონივით ხელთ ვირის ყბა დაეჭირა და თავისი მდევისებური მკლავების ძალით ერთიანად ამოეწყვიტა ეს თანამედროვე ფილისტიმელნი.

მას უყვარდა ხალხი გულწრფელი და უანგარო სიყვარულით. რეცეპტით მოსულს გლეხებს დიდ ხანს აკავებდა აფთიაქში, ჩოხის ღილზე ხელს სჭიდებდა და იდეალისტური გატაცებით, თითქმის თვალ-ცრემლიანი, კაპიტალისტური საზოგადოების კალსთა წინააღმდეგობებს უხსნიდა. გლეხები ერთხანს ჩუმად შესცქეროდნენ ნაღვლიანი გაოცებით, შემდეგ მარტოდ მარტო დატოვებულს ავადმყოფს იმიზეზებდნენ და წამალი ნისიად მიჰქონდათ.

შემდეგ თაროდან ძირს იღებდა თავის სახარებას, კარლო მარქსის წითელ ყდიან კაპიტალს. ეს წიგნი მან იყიდა ათი წლის წინად, როცა პროგიმნაზიაში მეაფთიაქის მოსწავლის ეგზამენს აბარებდა, მაგრამ მისი პირველი თავი აქამდე ისევე გაუგებარი იყო მისთვის, როგორც ასურელების ლურსმული წარწერა. ამის მიუხედავად, მაინც დიდის სიამოვნებით ჰკითხულობდა. ის განიცდიდა იმ გვარ გრძნობას, როგორსაც განიცდის მართლმორწმუნე ებრაელი, როცა ტალმუდის მისტიურს სიტყვებს ჰკითხულობს.



ს. იყალთოს ღვთაების ტაძარი.

ის ადგილი კომუნისტური მანიფესტისა, სადაც ავტორები უკან აბრუნებენ მათი პარტიის მიმართ ნასროლ ბრალდებას და ამტკიცებენ, რომ თვით თანამედროვე ბურჟუაზია ახდენს ცოლთა განსაზოგადოებრივობას, სამსონ შევარდენიძეს უკულმართად გაიგო. მას ეგონა, რომ თვით კომუნისტები ითხოვენ ინდივიდუალურ სიყვარულზე დაყრდნობილი ოჯახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსპობას. ასეთი მოთხოვნა სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის ბუნებას. მაგრამ მას სწამდა, სწამდა ბრმად, უკრიტიკოდ და თავიდან სდევნიდა ყოველ აზრს, რომელსაც მწვალებლობის ელფერი ჰქონდა. ხშირად ზედმეტი სიქველის გამო მზად იყო მუხლებზე დაცემულიყო სოციალ-დემოკრატთა მამამთავრის ხატის წინაშე, მის საწოლ ოთახში რომ ეკიდა, ან მოკრძალებით მთხვეოდა მის ბანჯგვლიანს სახესო.

დის მოსვლამ, რასაკვირველია, არავითარი ცვლილება არ შეიტანა მის ყოველდღიურ ცხოვრების მიმდინარეობაში. ის ელენეს მხოლოდ ხან და ხან იწვევდა საფთიაქო პატარა ოთახში და სოდისა, სიმჟავისა და მურაბისგან შეზავებული სასმელით უმასპინძლდებოდა.

ქალს უკვირდა, რომ მას არ ეშინოდა ამდენ საშიშ საწამლავებს შორის ყოფნა და ჰკითხავდა ხშირად მათი თვისებების შესახებ. მეაფთიაქე დაზგაზე ამწკრივებდა სხვა და სხვა ზომის და მოყვანილობის შუშებს და გულმოდგინედ უხსნიდა მათს გავლენას ადამიანის სხეულზე.

აი ციანკალი! ვისაც თავის მოკვლა უნდა, უკეთეს ვერაფერს აირჩევს: არასოდეს არ უმტყუნებს და ძლიერ სწრაფადაც მოქმედებს. ორიოდე წვეთი საკმაოა, რომ ყოველი ჯურის ნაციონალისტები ამოსწყვიტოს საქართველოში: ავტონომისტები, ფედერალისტები, სეპერატისტები. ამ მიზნისთვის კარგია აგრედვე ქისაფი, დარიშხანა. რაც შეეხება კარბოლის სიმჟავეს, გულახდით უნდა აღიაროს, რომ პირადათ ის არავის ურჩევს ამ საწამლავით თავის მოკვლას: მიზნის მისაღწევად საჭიროა კარგა დიდი დოზა. ამას გარდა ადამიანს სუსტი გული უნდა ჰქონდეს, რომ ჩქარა გასჭრას. ყოველს შემთხვევაში ციანკალის ვერაფერი შეედრება. ეს ასე ვსთქვათ საწამლავთა მეფეა.

* * *

ელენე ჩქარა დარწმუნდა, რომ თავის სოფელში ვერ იპოვნიდა იმას, რასაც ეძებდა: ადამიანს, რომელსაც შეეძლებოდა მისი გაგება, მისი ღრმა ჭრილობის დაშუშება. დედასა და მის შუა ხიდი კარგა ხანია ჩატეხილი იყო ყალბი განათლების მიერ. ეხლა რამოდენიმე დღის განმავლობაში არ შეიძლებოდა იმის ხელახლა აშენება, რაც ხანგრძლივი წლების მიმდინარეობამ დაანგრია. და ეს ორი არსება, ერთი სისხლისა და ერთი ხორცისაგან გაკეთებული, ჰგავდა ორ ადამიანს, რომელნიც ერთიმეორესკენ მიილტვიან გადასახვევად, მაგრამ ჭიქის ცივს კედელს ეჯახებიან, მათ შორის რომ არის ამართული; შემდეგ უკან ბრუნდებიან და შორიდან ერთმანეთს უცქერიან სევდით და გაკვირვებით.

როცა დედა საღამოს ბაღჩიდან ან სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა, ელენე მუხლებთან უჯდებოდა და თავს კალთაში უდებდა. მაგრამ ამ დროს ერთი საქათმის სუნს გრძნობდა, მეორე ოდეკოლონისას, ეს სურნელებანი კი ასე ნაკლებ ეთანხმებიან ერთმანეთს. ქალიშვილი თავს ძალას ატანდა და სცდილობდა ყურადღებით მოესმინა, რასაც მშობელი ეუბნებოდა წრევანდელი მოსავლისა, ოჯახის ხარჯებისა, მოჯამაგირე ბიჭის ან საქონლის შესახებ, მაგრამ ჩქარა ამჩნევდა, რომ ფანტაზია ძლიერ შორს დაჰფრინავს ამ საგნებიდან. თვით მათი ენა გაუგებარი იყო ერთმანეთისთვის. ელენეს ეჩოთირებოდა დედის პროვინციალური სიტყვები, მოუხეშავი სოფლური გამოთქმანი, დედას კი ხშირად არ ესმოდა შვილის უცნაური ლაპარაკი, უცხო სიტყვებით აჭრელებული... შემდეგ ერთი იძინებდა ღრმა შეუშფოთებელი ძილით, მეორე კი ეზოში ლოდზე ჯდებოდა ვაშლის ხის ქვეშ და იტანჯებოდა, როგორც ქრისტე გეთსემანიის ბაღში.

ქალი ჰხედავდა, რომ ეხლა ძმაც თითქმის სრულიად უცხო იყო მისთვის. თუმცა როგორც ყოველი ადამიანი, ისე ესენიც ბავშვობის დროს ბევრად უფრო დიდი ეგოისტები იყვნენ, მაგრამ იმ ორ პაწია გაუმაძღარ ეგოისტს მეტი გაეგებოდა ერთმანეთისა, ვიდრე ამ ორ დიდს, კეთილი გულის ადამიანს. ეს გარემოება არ აიხსნებოდა მსოფლიო მხედველობის სხვა და სხვაობით. ელენეს არავითარი გარკვეული მსოფლიო მხედველობა არ ჰქონდა და ძმის რწმენა თუ რელიგია არავითარს დაბრკოლებას არ წარმოადგენდა მისთვის. მაგრამ საქმე ის იყო, რომ მას უკვე ნაგემები ჰქონდა ცხოვრების მწარე სამსალა, ძმა კი იმ ამაღლებულს სფეროებში დაჰქროდა, სადაც ვერ უწევს ძახილი სინამდვილისა.

მაგრამ სამშობლოში იყო ერთი რაღაც, რამაც სიყვარულით მკერდი გაუხსნა ელენეს და ტკბილს ძუძუებზე მიიხუტა მისი ნაღვლიანი, გახურებული თავი. ეს იყო სოფლის ნაყოფიერი, ხელუხლებელი, წარმტაცი ბუნება. ქალი აქამდე არასოდეს დაჰკვირვებია მას. ის ატარებდა მის კალთებში რამოდენიმე თვის დაუფიქრებლად, უზრუნველად, ნელის ღიღინით როგორც მწყემსი მთის ფერდობებზე. მაგრამ ეხლა მწუხარებამ და კაეშანმა ასწავლა მისი მშვენიერების დანახვა. და აი მისი თვალების წინ გურიის ბუნება თან და თან გაიზარდა მიუწდომელ სიდიადემდე.

გათენებისას ძილში ესმოდა ჩიტების ჟრიამული და მდინარის ჩხრიალი. ფანჯარას აღებდა და გარედ იცქირებოდა. შემოდგომის მზის სხივები ნაზად ჰკოცნიდნენ მის წამწამებს და ოქროსფერ გვირგვინს ახვევდნენ მის წაბლისფერ თმას. და მისი თვალები ჰხატავდნენ გაკვირვებას და აღტაცებას, როგორც ზეციდან ჩამოვარდნილი ბავშვი, რომელმაც ღმერთის ქმნილება პირველად დაინახა.

მთის კამკამი რუ ეზოს გვერდით ჩამოურბოდა ხტომითა და შხუილით და პატარა წისქვილსა და წყლის ჩამურს ამოძრავებდა. მწვანე, გულყვითელა გვირილათი აჭრელებული ველი, დაფარული იყო დილის ნამით, რომელიც ათასფრად ციმციმებდა და ბრჭყვიალებდა მზის სხივებზე. მსხალის, ვაშლის და ატამის ხეები ჩუმად იდგნენ თავდახრილნი და მხოლოთ ხან და ხან ძირს ჩამოვარდნილი მწიფე ნაყოფის ხმა მოწმობდა, რომ მათს ტანში შეუჩერებლივ მოძრაობდა მაცოცხლებელი წვენი. წყლის გალმა ბაღჩა მოსჩანდა ხშირი თხილნარით შემოზღუდული, ბეოლის, წყავის და ლეღვის ხეებით დაჩრდილული, კვახით, ნესვით და საზამთროით დაფენილი. შემდეგ თვალი შორს მისდევდა ვენახის ხეებიან სათივეებსა და ოდნავ შეყვითლებულ ყანებს და აწყდებოდა აჭარა-გურიის მთების დიადს ლურჯს კედელთან. მისი უზარმაზარი კალთა და გმირი მკერდი დაბურული იყო თხემლარითა, წიფნარითა და ნაძვნარით, ამაყი თავი კი თავისუფლად შეჰყურებდა ცის მნათობებს. ხოლო ყველაზე მაღლა ამ ლურჯს მდევზე იჯდა საყორნია თავისი მოვერცხლული უნაგირით.

ელენე ეზოში ჩადიოდა, ტანთ იხდიდა და ეშვებოდა წყლის აქაფებულს მორევში, ჩამურის ქვევით რომ ტრიალებდა. შემდეგ თეთრს კენჭებზე ჯდებოდა და დიდხანს უგდებდა ყურს მდინარის ჩხრიალისა, თხილნარის შრიალისა, წისქვილის ხრიალისა და ფრინველების ჭიკჭიკის მიერ შეჭმნილ სიმფონიას.

სადილის შემდეგ, სადმე სათივეში ბაღჩის გვერდით პირაღმა წვებოდა. მისი თვალები იკარგებოდნენ ლურჯი გუმბათის სივრცეში. ამ უსაზღვრო გუმბათზე ხან თეთრი რაშები მიმოვიდოდნენ, ხან იალქნიანი ხომალდები დასცურავდნენ, ხან კი უხილავი ანგელოსნი მტრედისფერ გამჭვირვალე ფრთებს შლიდნენ. ელენე იყნოსვიდა გამხმარი თივის, დამწიფებული ყურძნის და ნესვის სურნელებას, ყურს უგდებდა კალიათა ხტუნაობას და ჭიანჭველათა ფუსფუსს და სტკბებოდა შემოდგომის დღის იმ გამოუთქმელი სიწყნარით და დუმილით, როცა ადამიანს ანგელოსთა კოცნა ესმის. ამ წუთებში მას ეგონა, რომ დროთა მსვლელობა შესწყდა, მზე ცაზე შეჩერდა და აღარ არის არც წარსული, არც მომავალი, არც ტანჯვა, არც შიში.

(დასასრული იქნება).

გერონტი ქიქოძე.

ტფილისი, მუხრანის ჭუჭა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.